ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4475995

ნომერი: AR1676166

თარიღი : 18.04.2019

გაცემის თარიღი : 24.04.2019

გაცნობის თარიღი : 24.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მესხეთის ქ.N113 (112ა);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამი მამულაშვილი პ/ნ 13001052718
- გურჯაანი ს. კარდენახი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილ იქნას ასებული სიტუაციის ფოტოსურათები, გადაღებული სხავდასხვა ხედის ფიქსაციით, თარიღის მითითებით.

საკადასტრო გეგმის თანახმად საპროექტო შენობებს შორის განთავსებულია, არსებული #2/1 შენობა, ხოლო ფოტოსურათებზე აღნიშნული შენობა არ ფიქისრდება, საჭიროა დოკუმენტაცია მოიყვანოთ ურთიერთ შესაბამისობაში.

ასევე არსებულ 1/1 და 2/1შენობებს მიუთითეთ ფუნქციური დანიშნულება და გაითვალისწინეთ „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში, ამ თავით განსაზღვრული მოთხოვნები ხორციელდება ამავე სამშენებლო მიწის ნაკვეთზე, წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის დადგენის საფუძველზე (ანუ ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე ისე უნდა განთავსდეს ერთზე მეტი სხვადასხვა შენობა, როგორც ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად ერთმანეთის მომიჯნავე სხვადასხვა სამშენებლო მიწის ნაკვეთზეა ერთმანეთის მიმართ განთავსებული) შესაბამისად, არსებულსა და საპროექტო შენობებს შორის დაიტანეთ წარმოსახვითი საზღვარი და საპროექტო შენობების განთავსებისას დაცული იქნას მიჯნის ზონა;

ამასთან მოგახსენებთ ვინაიდან საკადასტრო გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია რამდენიმე შენობა-ნაგებობა, საჭიროა ზუსტად მოხდეს კ1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის დათვლა (საპროექტო შენობებთან ერთად უნდა შეიყვანოთ ტერიტორიაზე არსებული ყველა შენობა-ნაგებობების განაშენიანების (კ1) ფართობი).

ამასთან მოგახსენებთ ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობა(ს.კ.N 01.01.744) კანალიზაციის მილი, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრის თანხმობა თანდართულ დამოწმებულ საპროექტო გენ გეგმასთან ერთად. (თქვსნ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მისაღები არ არის რადგან თანდართული ფაილი არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას)

გაითვალისწინეთ წარმოსადგენია იპოთეკარის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.